შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა

ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენება საუბრის ფორმატიული შეფასებისათვის ინგლისურის როგორც უცხოური ენის შესწავლისას (საქართველოს საშუალო სკოლების მაგალითზე)

სოფიო ჭეიშვილი

სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი

თბილისი, 2018

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკატერინე ფიფია

<u>პროფესორი, დოქტორი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში</u>

ვადასტურებ, რომ ნაშრომი შეესაბამება სფეროს,წარმოადგენს სიახლეს, მეცნიერულ და პრაქტიკულ ღირებულებებს და წარმოდგენილია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ფორმატით.

(ხელმძღვანლის ხელმოწერა)

ექსპერტები:

1. ნათელა დოღონაძე, პროფესორი, დოქტორი
2. ნიკოლოზ ფარჯანაძე, პროფესორი, დოქტორი
3. მაია ჩქოტუა, ასოცირებული პროფესორი,დოქტორი

ოპონენტები

1. ნინო უგლავა, ასოცირებული პროფესორი,დოქტორი
2. ნინო ნიჟარაძე, ასოცირებული პროფესორი, დოქტორი
3. მარინე ჩარგელიშვილი, ასოცირებული პროფესორი,დოქტორი

შესავალი

ბევრი ადამიანი, რომელიც ენას შეისწავლის, მიიჩნევს, რომ ენის ცოდნის საზომი საუბრის უნარის ფლობაა. ეს ადამიანები განსაზღვრავენ მეტყველების თავისუფლებას, როგორც სხვებთან კომუნიკაციის უნარს. ისინი თვლიან, რომ ენის ფლობა უფრო მეტად იმ ენაზე კომუნიკაციის უნარია, ვიდრე მხოლოდ წერა-კითხვის ცოდნა. შემსწავლელები საუბარს მიიჩნევენ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან უნარად, რომლის ათვისებაც მათ შეუძლიათ, ხოლო საკუთარ წინსვლას აფასებენ იმის მიხედვით, თუ რამდენად კარგი მიღწევები აქვთ სასაუბრო კომუნიკაციის დროს. ენის სწავლების კომუნიკაციური მოდელის მიხედვით მასწავლებლები ეხმარებიან შემსწავლელებს განავითარონ ენის ცოდნა, მისი პრაქტიკულად ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოყენებით, რეალური კომუნიკაციის დროს. კომუნიკაციური მოდელის გათვალისწინებით, მასწავლებლები ეხმარებიან შემსწავლელებს, რომ გამოიმუშონ უნარი, წარმოთქვან გრამატიკულად სწორი და ლოგიკურად ურთიერთდაკავშირებული წინადადებები, რომლებიც შესაფერისი იქნება კონკრეტული კონტექსტებისათვის. საუბრის უნარის განვითარების მიზანი არის ეფექტიანი კომუნიკაცია. შემსწავლელებმა უნდა შეძლონ სათქმელის გასაგებად გადმოცემა და თავიანთი არსებული ცოდნის მაქსიმალურად გამოიყენება.

ოცდამეერთე საუკუნეში სწავლა-სწავლებისადმი კომუნიკაციური მიდგომა ხაზს უსვამს საუბრის უნარის მნიშვნელობას. მსგავი მიდგომა რთავს შემსწავლელებს ეფექტურ კომუნიკაციაში. საუბრის მიზანი არის განუვითაროს ბავშვებს ფიქრის უნარი, გააფართოვოს მათი ლექსიკური მარაგი, დაეხმაროს საკუთარი აზრების დალაგებასა და სტრუქტურირებაში, ასევე გამოუმუშავებს შემსწავლელებს უნარს, იყვნენ კარგი მოსაუბრეები და მსმენელები და ჩაებან აზრიან, მიზანმიმართულ დიალოგში. საუბარი ნებისმიერ შემსწავლელს აძლევს თვითგამოხატვის საშუალებას, მუიხედავად მისი შესაძლებლობებისა და ენისა. ბავშვები შეძლებენ სოციალური უნარების გამომუშავებას, რაც საშუალებას მისცემს მათ ისიამოვნონ საუბრის

პროცესით. მიიჩნევა, რომ საუბარის უნარის ფლობა ზრდის შემსწავლელის თვითშეფასებას და თავდაჯერებულობას (Brown, 2004). საუბრის უნარის განვითარების ხელშესაწყობად არსებობს მრავალი ხერხი, ეს შეიძლება იყოს: ღია კითხვები, ჯანსაღი დებატები და დისკუსიები, როლური თამაშები, ასევე საკუთარ გამოცდილებასა და პირად ინტერესებზე საუბარი. მასწავლებლებმა უნდა წაახალისონ მოსწავლეები და მათში მცირე ასაკიდან განავითარონ საუბრის კომუნიკაციური ეფექტიანობა. დღესდღეობით მასწავლებლები საქართველოში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საუბრის უნარის გაუმჯობესებას და შესაბამისად ეძებენ ყველაზე საუკეთესო და ნაკლებ შრომატევად გზას საუბრის უნარის შესაფასებლად.

ტრადიციულად, შეფასება გამოიყენებოდა იმისათვის, რათა მასწავლებელს შეეფასებინა მოსწავლის წინსვლა განსაზღვრულ დროში. ამგვარ შეფასებას ეწოდება „სწავლების შეფასება“. იგი გამოიყენება, რომ ნახონ აკმაყოფილებს თუ არა მოსწავლე, სკოლის, დაწესებულების ან ეროვნულ, რეგიონულ დადგენილ სტანდარტებსა და კრიტერიუმებს. შემაჯამებელი შეფასება ხორციელდება, გარკვეული დროის შემდეგ, რათა ნახონ რამდენად კარგად განხორციელდა სწავლება. იმისდამიუხედავად, რომ სწავლის შემაჯამებელი შეფასება მნიშვნელოვანია, იმისათვის, რომ მოსწავლეებს მიენიჭოთ ქულები და მასწავლებლებმა წარადგინონ ანგარიში, პედაგოგებმა ასევე უნდა გაამახვილონ ყურადღება „შეფასებაზე სწავლებისათვის“. ასეთი ტიპის შეფასება ცნობილია როგორც ფორმატიული ანუ განმავითარებელი შეფასება. იგი ხელს უწყობს სწავლის პროცესს. რამდენადაც ფორმატიული შეფასება მიიჩნევა სასწავლო პროცესის შემადგენელ ნაწილად, ის არ უნდა შეფასდეს ქულებით შემაჯამებელი შეფასების მსგავსად. ფორმატიული შეფასება ემსახურება მოსწავლის დახმარებასა და მის პრაქტიკას, ისე როგორც მაგალითად მიზანმიმართული და აზრიანი საშიანო დავალება. ფორმატიული შეფასება ამოწმებს თუ რამდენად იგებს მოსწავლე ახსნილ მასალას და წარმართავს მასწავლებლების გადაწყვეტილებების-მიღების პროცესს, სამომავლო ინსტრუქციების შესახებ. შემსწავლელები იღებენ კონსტრუქციულ უკუკავშირს და რეკომენდაციებს შემდგომი განვითარებისათვის. მასწავლებლის მიერ

შემსწავლელთათვის მიცემული უკუკავშირი არის მთავარი მოთხოვნა სწავლებაში პროგრესის მისაღწევად. ფორმატიული შეფასება არის მოსწავლის ნამუშევრის ან სამეტყველო მოქმედების შეფასების, მონიტორინგის ან განსჯის პროცესი, და ამის გამოყენება შემსწავლელის ენობრივი კომპეტენციის შემდგომი განვითარებისათვის. ფორმატიული შეფასების ფარგლებში უკუკავშირს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. იმისათვის, რომ შემსწავლელებმა შეძლონ შედეგების გაუმჯობესება, მათ უნდა შეიმუშაონ საკუთარი ნაშრომის ხარისხის მონიტორინგის უნარი რეალური პროდუქტის შექმნის დროს. კონსტრუქციული და აზრიანი უკუკავშირის საშუალებით, შემსწავლელები შეძლებენ აღიქვან და შეაფასონ ნამუშევრის მაღალი ხარისხი. შემსწავლელები შეიძენენ ობიექტური შეფასების უნარს, რომელიც აუცილებელია რათა შეადარონ საკუთრი ნაშრომის ხარისხი, დადგენილ მაღალ სტანდარტებს. ფორმატიული შეფასება საშუალებას აძლევს მასწავლებლებს მოახდინონ ინსტრუქციების დიფერენციაცია და ამით გააუმჯობესონ შემსწავლელთა მიღწევები.

მნიშვნელოვანია, რომ ფორმატიული შეფასება ნაკლებ შრომატევადი გახდეს. არ არის აუცილებელი ფორმატიულ შეფასებას ძალიან დიდი დრო დაეთმოს. იგი ხშირად სწრაფად განხორციელებადი და ადვილად გამოყენებადია ყოველდღიურ სწავლა-სწავლების პროცესში. ყველაზე საუკეთესო გზა იმისათვის, რომ ფორმატიული შეფასება ნაკლებად შრომატევადი გახდეს ელექტრონული აპლიკაციების დანერგვაა, განსაკუთრებით ისეთის როგორიცაა ელექტრონული პორთფოლიო. ასეთი ტიპის ფორმატიული შეფასება შეიძლება განხორციელდეს, ინდივიდუალურად, წყვილთა შორის, მცირე ჯგუფებში ან მთელი კლასის მასშტაბით. დამოუკიდებლად მუშაობის მაგივრად, სხვებთან თანამშრომლობისა და მუშაობის შესაძლებლობა, შემსწავლელს ეხმარება დახელოვნდეს სვადასხვა უნარჩვევაში, კონკრეტულად კი საუბარში. ჯგუფური შეფასების პროცესი სწავლის ნაწილია, ამიტომ პედაგოგებს არ სჭირდებათ მისი ქულებით შეფასება. შეიძლება დაინერგოს ჯგუფური შეფასების სხვადასხვა სტრატეგიები, მაგალითად, შეჯამება და რეფლექსია, ინფორმაციის ვიზუალური

წარმოდგენა, ასევე თანამშრომლობითი აქტივობები. ფორმატიული შეფასება შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ინფორმაციის წყარო, როგორც პედაგოგებისთვის ასევე შემსწავლელთათვის. იგი მოსახერხებელია, რამეთუ შემსწავლელებს ყოველთვის ეძლევათ მეორე შანსი, თავიანთი წინსვლის წარმოსაჩენად.

შემსწავლელთა საუბრის კომპეტენციის (უნარის) შეფასების ერთ ერთი საუკეთესო გზა არის, ციფრული ანუ ელექტრონული პორტფოლიოს დანერგვა. პორტფოლიო არის შემსწავლელთა ნამუშევრების შეფასების პრაქტიკული საშუალება მთელი წლის განმავლობაში. ამ მეთოდის საშუალებით შემსწავლელთა ნამუშევრები შესაძლოა სისტემატიური სახით იქნას შეგროვებული გარკვეული დროის მანძილზე. მათი მეშვეობით შესაძლებელია განვსაზღვროთ რამდენად კარგად იქნა მიღწეული კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო მიზნები სასწავლო პროცესის ყოველ ეტაპზე და საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდეს აუცილებელი ქმედებები სწავლებისა და შესწავლის სტრატეგიების გასაუმჯობესებლად. პორტფოლიო შეიცავს ინფორმაციას, ნამუშევრების ნიმუშებს და შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც შემსწავლებლების ენობრივი ნორმების პრაქტიკული გამოყენების ინდიკატორებია. პორტფოლიო არის შემსწავლელთა წინსვლის სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით შეფასების უკეთესი გზა, ვიდრე მათი ნაშრომების მხოლოდ ერთ საზომზე დაყრდნობით შეფასებაა. საუბრის შეფასება შესაძლოა მოხდეს სხვადასხვა სახის სასაუბრო აქტივობების მეშვეობით, მაგალითად, როლური თამაშები, პრეზენტაციები, დებატები, ან უბრალოდ გასვლითი ექსკურსიის ზეპირი აღწერა. (Huang & Hung, 2010). ელექტრონული პორტფოლიო შეიძლება შეიცავდეს მასწავლებლის მიერ შემსწავლელთა მიღწევების აღწერას, მაგალითად მათ მიერ შესრულებული სასაუბრო აქტივობების ანალიზს. მოსწავლის პორტფოლიო შეიძლება დაეხმაროს პედაგოგებს, იმაში რომ უფრო თანმიმდევრული და სანდო გახადონ თავიანთი შეფასება და დასკვნა (Brown, 2004). იგი ეხმარება პედაგოგებს ყველა შემსწავლელზე ერთნაირი ინფორმაციის შეგროვებაში. ამ გზით მასწავლებელი შეძლებს შეაფასოს როგორც ერთი კონკრეტული მოსწავლის პროგრესი, ასევე კლასის მთლიანობაში. შემსწავლელებს

აქვთ ყველაზე აქტიური როლი პორტფოლიოს შექმნის პროცესში, რამეთუ მათ შეუძლიათ შეარჩიონ საკუთარი ნამუშევრების ნიმუშები და მოახდინონ რეფლექსია საკუთარ წინსვლაზე გარკვეული დროის განმავლობაში, რაც მათ უფრო ავტონომიურ შემსწავლელებად აქცევს. პედაგოგებმა და შემსწავლელებმა შესაძლოა ერთად დასახონ კონკრეტული, რეალისტური მიზნები ახალი პროექტების გასაუმჯობესებლად. შემსწავლელებს ინდივიდუალურად, ჯგუფებში ან მთელი კლასის მასშტაბით შეუძლიათ შეიმუშაონ შეფასების საკუთარი რუბრიკები და კრიტერიუმები. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, შემსწავლელები არა მხოლოდ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები, არამედ შეფასების პროცესის მონაწილეებიც არიან. იმისათვის, რომ მოხდეს შემსწავლელთა ჩართვა შეფასების პროცესში, მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ თავიანთი სასწავლო მიზნების განსაზღვრასა და შესაფერისი აქტივობების შერჩევაში Little (2007). საუბრის ელექტრონული პორტფოლიოს დანერგვა შესაძლოა დაეხმაროს პედაგოგებს კლასის მართვისა და ორგანიზაციის საკითხებში, რამდენადაც ბავშვები უფრო მეტად ჩართული ხდებიან საგაკვეთილო პროცესში. მასწავლებლებმა უარი უნდა თქვან შეფასების მხოლოდ ტრადიციული მეთოდების გამოყენებაზე და პრიორიტეტი მოსწავლეზე ორიენტირებულ შეფასებას მიანიჭონ. გაითვალისწინეს რა, შემსწავლელების შეფასების პროცესში ჩართვის დადებითი მხარეები, ზოგიერთმა სასწავლო დაწესებულებამ საქართველოში დაიწყო ელექტრონული პორტფოლიოების გამოყენება შემსწავლელთა რეალური (ავთენტური) შეფასებისათვის, თავიანთი მიზნების და კურიკულუმის შესაბამისად. ამ ტიპის პორტფოლიო მიზნად ისახავს საუბრის უნარის შეფასებას. პორტფოლიოები შეიძლება სხვადასხვა სახის იყოს:

- ქაღალდის-პორტფოლიო;
- ტექნოლოგიებზე დაფუძნებული პორტფოლიო, სადაც სხვადასხვა სახის ტექნოლოგიები არის გამოყენებული;

- ელექტრონული პორტფოლიო, რომელიც ჩვენი განხილვის საგანია, სადაც შემსწავლელები იყენებენ ინტერნეტს, თავიანთი ნაშრომის/ნამუშევრის ასატვირთად;
- ვიდეო ან აუდიო პორტფოლიო.

სწავლა არ არის მხოლოდ საბაზისო უნარების ფლობა, არამედ მრავალგვარი სტარტეგიებისა და საშუალებების გამოყენება წინსვლისათვის (O'Malley & Pierce, 1996). შემსწავლელებს თავიანთი წინსვლა შეუძლიათ გამოხატონ პორტფოლიოს საშუალებით. პორტფოლიო ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესს მრავალი თვალსაზრისით. იგი ქმნის კავშირს სწავლებასა და შეფასებას შორის, აძლიერებს მოსწავლეთა ავტონომიურობას. ასევე ანვითარებს თვითშეფასების უნარს, საკუთარი პროგრესის მონიტორინგს, საკუთარი ქცევის მართვას, ზრდის მოტივაციას და საკუთარი თავის რწმენას (Castañeda & Rodríguez-González, 2011). პორტფოლიო საშუალებას აძლევს შემსწავლელებს, რომ ხარვეზები აღმოაჩინონ თავიანთ სწავლაში და წავიდნენ გარკვეულ რისკებზე (Ekbatani & Pierson, 2000). პორტფოლიო წაახალისებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებას თანამშრომლურ გარემოში. ასეთი ტიპის შეფასება ორიენტირებულია სწავლების ხელშეწყობაზე და არა მოსწავლის დასჯაზე ან მათ კლასიფიკაციაზე (O'Malley & Pierce, 1996).

კვლევაში განხილული პრობლემები

კვლევაში განხილულ პრობლემებს წარმოადგენს:

1) როგორც ნოვატორულ პრაქტიკას, საუბრის ელექტრონული პორტფოლიოს დანერგვას საუბრის ფორმატიული შეფასებისათვის სჭირდება ღრმა და საგულდაგულო, სკურპულოზური კვლევა მისი ეფექტიანობის დასადგენად. მაგალითად, გამოკვლეული უნდა იქნას, პორტფოლიოს გავლენა მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები,

უარყოფითი მხარეების თავიდან აცილების გზები, დამოკიდებულებების ცვლილება და ა.შ.

2) დღესდღეობით ბევრი პედაგოგი არ იცნობს და არ ფლობს ინფორმაციას პორტფოლიოთი შეფასების მეთოდების შესახებ, ხოლო ის მასწავლებლები, რომლებიც იცნობენ ამ მეთოდს, მაინც არ იყენებენ მას თავიანთ პრაქტიკაში.
3) საუბრის უნარის ტრადიციული შეფასება არ არის საკმარისად ზუსტი. რამდენადაც საუბრის შეფასება და ყველა შემსწავლელისათვის უკუკავშირის მიცემა საკმაოდ რთულია, ამაში მასწავლებელს შეიძლება საუბრის ელექტრონული პორტფოლიო დაეხმაროს.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზნებს წარმოადგენს:

1. საქართველოში საშუალო სკოლის მოსწავლეთა კომუნიკაციური კომპეტენციის გაზრდა.
2. იმის გამოკვლევა, თუ რა გავლენას ახდენს ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენება საუბრის ფორმატიული შეფასების დროს.
3. ყურადღების გამახვილება შემსწავლელთა პროდუქტულ უნარებზე და მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდა საუბრის კომპეტენციის გასაუმჯობესებლად.
4. შემსწავლელთა და მასწავლებელთა დამოკიდებულების კვლევა, ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენებასთან დაკავშირებით, საუბრის ფორმატიული შეფასებისათვის.

მიმდინარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა საუბრის უნარ-ჩვევების განმავითარებელი ელექტრონული პორტფოლიოს დადებითი და უარყოფითი მხარეების განსაზღვრა, რათა გამოვლენილიყო პორტფოლიოთი შეფასების გავლენა სასწავლო პროცესზე და განხილული ყოფილიყო მისი ზოგიერთი უარყოფითი მხარე. კვლევის მიზანს წარმოადგენდა სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების

(მაგალითად, მასწავლებლების, მშობლების, მოსწავლეების) დამოკიდებულების შესწავლა პორტფოლიოთი შეფასების მიმართ, ასევე პორთტოლიოთი შეფასების პრაქტიკულობის დონის ზუსტი განსაზღვრა. ინგლისურის როგორც უცხოური ენის შემსწავლელ სტუდენტთა ენობრივი უნარ-ჩვევების დონის გაზრდა შემოთავაზებული პროცედურის გამოყენების შედეგად; კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა იმის გამორკვევა, თუ საუბრის ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენება რამდენად:

- ახდენს გავლენას საშუალო სკოლის მოსწავლეების აკადემიურ შედეგებზე,
- ზრდის შემსწავლელთა მოტივაციას,
- ზრდის დადებით დამოკიდებულებას ინგლისური ენის საუბრის უნარის მიმართ,
- ეხმარება შემსწავლელებს დამოუკიდებელ (ავტონომიურ) შემსწავლებლებად ჩამოყალიბებაში და წაახალისებს დამოუკიდებლად სწავლისა და მუშაობის უნარს,
- უწყობს ხელს თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარის განვითარებას,
- უწყობს ხელს თანამშრომლურ სწავლა-სწავლებას,
- წაახალისებს შემსწავლელთა ჩართულობას სწავლებისა და შეფასების პროცესში.

კვლევის მთავარი მიზანი არის ელექტრონული პორტფოლიოს ყველა შესაძლო დადებითი და უარყოფითი მხარეების განსაზღვრა, ასევე იმის აღმოჩენა, თუ რამდენად შეუძლია საუბრის ფორმატიული შეფასებისათვის ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენებას ინგლისურის როგორც უცხოური ენის შემსწავლელ სტუდენტთა მოტივაციის გაზრდა და ენის პრაქტიკაში გამოყენების წახალისება. მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, შეუძლია თუ არა პორტფოლიოს გააუმჯობესოს მოსწავლის აკადემიური შედეგები და გაუღვივოს მას დადებითი დამოკიდებულება საუბრის უნარ-ჩვევის განვითარების მიმართ.

კვლევა გამიზნულია უპასუხოს შემდეგ შეკითხვებს:

1. ახდენს თუ არა დადებით გავლენას შემსწავლელის აკადემიურ შედეგებზე ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენება, რომელიც გამოყენებულია საუბრის უნარ-ჩვევების ფორმატიული შეფასებისათვის?
2. ზრდის თუ არა შემსწავლელთა მოტივაციას ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენება საუბრის უნარ-ჩვევების ფორმატიული შეფასებისათვის?

კვლევის სიახლე და აქტუალურობა

საქართველოს მასშტაბით, მცირე რაოდენობის კვლევაა ჩატარებული პორტფოლიოთი შეფასების, კონკრეტულად კი საუბრის ფორმატიული შეფასებისათვის, ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენების შესახებ. აღნიშნული კვლევა არის სიახლის მატარებელი, რამეთუ ის გვთავაზობს თანამედროვე მიდგომას ფორმატიული შეფასების მიმართ.

თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიების დანერგვა საუბრის უნარ-ჩვევების ფორმატიული შეფასებისათვის იქნება საინტერესო და გამოწვევებით სავსე პროცესი პედაგოგებისათვის, და მოტივაციის ფაქტორი შემსწავლელთათვის. ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენება საუბრის უნარ-ჩვევების სწავლებისა და შეფასების დროს ასევე იქნება სიახლის მატარებელი, რადგანაც ეს არ არის გავრცელებული პრაქტიკა ქართულ სკოლებში. რეგიონში ჩატარებული კვლევებიდან არც თუ ბევრი ეძღვნება საუბრის უნარის განვითარებას. შესაბამისად ამ უნარის განვითარების კვლევა პორტფოლიოთი ფორმატიული შეფასების გზით იქნება სიახლე საქართველოში. აღნიშნული კვლევა გვთავაზობს ახალ მოდელს, რომელიც შექმნილია ინგლისურის როგორც უცხოური ენის შემსწავლელი სტუდენტების ენობრივი უნარ-ჩვევების შეფასების მიზნით. იგი ავლენს მნიშვნელოვან შედეგებს (მოტივაციის ზრდა შემსწავლელთა შორის).

დისერტაციაში შემუშავებულ იქნა საუბრის უნარ-ჩვევების შეფასების ახალი, ნაკლებად შრომატევადი და მოსახერხებელი მოდელი. თავად თემატიკა ახალია საქართველოსათვის, სადაც კვლევა იქნა წარმოებული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,

ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენება საუბრის ფორმატიული შეფასების მიზნით არ არის ფართოდ დანერგილი პრაქტიკა ქართულ საშუალო სკოლებში. კვლევის მიზანია აჩვენოს, თუ რამდენად სასიკეთო იქნება სწავლა-სწავლების პროცესისათვის მკვლევარის მიერ შემოთავაზებული მოდელის დანერგვა, საუბრის უნარ-ჩვევის ფორმატიული შეფასებისათვის.

საკითხის მნიშვნელობა

ენა გამოიყენება კომუნიკაციური მიზნებისათვის, მაშასადამე, საუბრის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ენის შესწავლისა და სწავლების დროს. საქართველოს დაწყებით სკოლებში საუბრის უნარ-ჩვევების განვითარებას არ ეთმობა საკმარისი ყურადღება, ერთ-ერთი ფაქტორი შეიძლება იყოს ის, რომ საუბრის უნარ-ჩვევების შეფასება არ არის ერთიანი ეროვნული გამოცდების კომპონენტი, იგი არ ფასდება როგორც ცალკე უნარი. გარდა ამისა, სასაუბრო აქტივოვების შექმნა და საუბრის უნარ-ჩვევების შეფასება საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესია, განსაკუთრებით დიდ კლასებში. კვლევის მნიშვნელობა ასევე მდგომარეობს საშუალო სკოლის მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდის საჭიროებაში და იმის ხაზგასმაში, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სასაუბრო აქტივობები ენის შესწავლის დროს. მნიშვნელოვანია ნაკლებ შრომატევადი გზის მოძებნა საუბრის უნარ-ჩვევების ფორმატიული შეფასებისათვის, საგანმანათლებლო ტექნოლოგიების, კერძოდ კი, ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენების საშუალებით. თანამედროვე მიდგომების ძიება ფორმატიული შეფასების მიმართ იქნება მნიშვნელოვანი როგორც პედაგოგებისათვის, ისე ენის შემსწავლელებისათვის. დამატებით, ელექტრონული პორტფოლიოს დანერგვამ შესაძლოა საშუალება მისცეს შემსწავლელებს მოემზადონ საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის ასაღებად, ასევე მონაწილეობა მიიღონ მათი თანატოლების სწავლის პროცესში. ყველა ზემოთ ნახსენები ფაქტორი ხდის კვლევას ფასეულს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემისათვის.

კვლევის პრაქტიკული ღირებულება

ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენება საუბრის ფორმატიული შეფასებისათვის მნიშვნელოვანი საკითხია, რომელსაც ყურადღება უნდა დაეთმოს. კვლევას აქვს საკმაოდ მაღალი პრაქტიკული ღირებულება, რადგანაც კვლევაში ნაჩვენებია უშუალო სტრატეგიები, რომელთა დანერგვაც პედაგოგებს შეეძლებათ თვიანთ პრაქტიკაში. ასევე მოცემულია მთელი რიგი კომუნიკაციური აქტივობებისა, რომელთა გამოყენება ასევე შეეძლებათ პრაქტიკოს მასწავლებლებს. კვლევის შედეგებმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე პრაქტიკულობის თვალსაზრისით. კვლევის პრაქტიკულ ღირებულებას ხაზს უსვამს ის ფაქტი, რომ დისერტაცია წარმოადგენს თანამედროვე რესურსს მასწავლებლებისათვის და ეხმაურება თანამედროვე პედაგოგიკის, სწავლებისა და შეფასების საკითხებს. კვლევის ფარგლებში შეიქმნა ახალი სილაბუსი, რომელიც მიზნად ისახავს საუბრის აქტივობების რაოდენობის გაზრდას. პრაქტიკული თვალსაზრისით, სპეციალური სავარჯიშოები იქნა შერჩეული, რომელთაც ჰქონდათ კონკრეტული მიზანი სასწავლო მიზნებზე გასასვლელად. ამ ტიპის სავარჯიშოებს აქვთ პრაქტიკული გამოყენება ინგლისურის როგორც უცხოური ენის შესწავლის დროს და ხელს უწყობენ საუბრის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას. აღნიშნულ კვლევას აქვს ცნობარის ფუნქცია პედაგოგებისათვის, რომელთაც სურვილი ექნებათ დანერგონ ელექტრონული პორტფოლის გამოყენება საკუთარ პრაქტიკაში და გამოიყენონ მკვლევარის მიერ შემოთავაზებული აქტივობები.

კვლევის თეორიული ღირებულება

თეორიულად დისერტაცია ეფუძნება იმ რწმენას, რომ ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენება საუბრის ფორმატიული შეფასებისათვის აახდენს დადებით გავლენას ენის სწავლა-სწავლების პროცესზე, ეხმარება შემსწავლელებს უცხოური ენის ათვისებაში და აუმჯობესებს მათ აკადემიურ შედეგებს. ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენება საუბრის ფორმატიული შეფასებისათვის ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას. მიმდინარე კვლევის თეორიული საფუძვლებია:

- კონსტრუქტივიზმის თეორია (მაგალითად, Piaget, 2013);

- თეორია კომუნიკაციური კომპეტენციის შესახებ (მაგალითად, Hymes, 1973; Canale, 1983; Canale, & Swain, 1980; Celce-Murcia, Dornyei, & Thurrell, 1995);
- კომუნიკაციური სწავლა-სწავლების თეორია (მაგალითად, Rogers, 1983; Johnson. & Morrow, 1981. Larsen-Freeman, 2000; Littlewood, 2011; Richards, 2006; Savignon, 2007);
- მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისა და შეფასების იდეა (Armstrong, 2012);
- ალტერნატიული შეფასების იდეა (მაგალითდ, Hancock, 1994; Hanson, 1993; Tannenbaum, 1996);
- თეორია განათლების ტექნოლოგიების მნიშვნელობის შესახებ (მაგალითად, Chou, & Chen, 2009).
- მოტივაციის თეორია (მაგალითად, Deci, & Ryan, 1985; Chandler, Connell, 1987).

ზემოთ ხსენებული თეორიული საფუძვლები შესწავლილ იქნა მკვლევარის მიერ, რათა მოეხდინა ელექტრონული პორტფოლიოს პროდუქტიული დანერგვა ფორმატიული შეფასებისა და საუბრის უნარ-ჩვევების განვითარებისათვის. დისერტაციაში არსებული მოდელი შემოთავაზებული იყო კვლევარის მიერ.

კვლევის ჰიპოთეზებს წარმოადგენს:

1. ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენება ინგლისურის როგორც უცხოური ენის შემსწავლელ სტუდენტთა საუბრის ფორმატიული შეფასებისათვის აუმჯობესებს შემსწავლელთა საუბრის უნარ-ჩვევებს.
2. ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენება ინგლისურის როგორც უცხოური ენის შემსწავლელ სტუდენტთა საუბრის ფორმატიული შეფასებისათვის აუმჯობესებს შემსწავლელთა აკადემიურ შედეგებს საუბრის უნარ-ჩვევაში.
3. ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენება ინგლისურის როგორც უცხოური ენის შემსწავლელ სტუდენტთა საუბრის ფორმატიული შეფასებისათვის ზრდის შემსწავლელთა მოტივაციას.

კვლევის მეთოდები

კვლევაში კვლევის შემდეგი მეთოდები იყო გამოყენებული:

- საკვლევ თემაზე არსებული ლიტერატურის ანალიზი;
- კითხვარები: სტუდენტებისთვის, მშობლებისათვის და მასწავლებლებისთვის განკუთვნილი კითხვარი;
- სტუდენტების გამოკითხვა (ინტერვიუ);
- კითხვარზე სტუდენტების პასუხების ანალიზი;
- კითხვარზე მშობლების პასუხების ანალიზი;
- კითხვარზე მასწავლებლების პასუხების ანალიზი;
- სტუდენტების გამოკითხვის (ინტერვიუს) შედეგების ანალიზი;
- ექსპერიმენტი, რომელიც იყენებს შემოთავაზებულ პროცედურას;
- შეფასება ექსპერიმენტამდე, ექსპერიმენტის დროს და ექსპერიმენტის შემდეგ;
- საექსპერიმენტო შედეგების ანალიზი

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: შესავალი, 4 თავი, დასკვნა და დანართები. მასში ასევე არის 26 ცხრილი და 26 ფიგურა; იგი დაბეჭდილია 165 გვერდზე.

პირველი თავი: ელექტრონული პორტფოლიოს ფორმატიული შეფასებისათვის გამოყენების თეორიული საფუძვლები

თანამედროვე მიდგომების თანახმად, უცხოური ენის შესწავლის მთავარი მიზანი მისი კომუნიკაციური მიზნებისათვის გამოყენებაა. შემსწავლელებმა ენა უნდა გამოიყენონ რეალურ სიტუაციებში. ინგლისური ენის ცოდნა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების თითქმის ყველა სფეროში.

პირველი თავი წარმოადგენს თეორიულ ანალიზს, მასში შედის კომუნიკაციური კომპეტენციის, გრამატიკული კომპეტენციის, სოციოლინგვისტური კომპეტენციის და სტრატეგიული კომპეტენციის განხილვა. პირველ თავში ყურადღება გამახვილებულია უცხოური ენის შესწავლისადმი კომუნიკაციური მიდგომის განვითარების მნიშვნელობაზე. ენის კომუნიკაციური მეთოდით სწავლებამ დიდი პოპულარობა მოიპოვა, რადგანაც ის მიიჩნევა ერთ ერთ ყველაზე ეფექტიან მეთოდად კომუნიკაციური კომპეტენციის მიღწევისათვის. პირველ თავში განხილულია, ინგლისურის როგორც უცხოური ენის შესწავლის მეთოდოლოგიის განვითარების სამი ძირითადი ფაზა. ესენია ენის სწავლებისადმი ტრადიციული მიდგომა, კლასიკური კომუნიკაციური მიდგომა და თანამედროვე კომუნიკაციური მიდგომა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღესდღეობით, უცხოური ენის შესწავლის მიზანს წარმოადგენს კომუნიკაციური კომპეტენციის დაუფლება. შესაბამისად უპირატესობა ენიჭება მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებას. პრიორიტეტებია კრეატიულობა, მიზნობრივი და მრავლისმეტყველი კომუნიკაცია ენის გამოყენებით. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების შემთხვევაში, ფოკუსირება ხდება სწავლების ავტონომიურობაზე, სწავლების სოციალურ ბუნებაზე, მრავალფეროვნებაზე, კონსტრუქციულ და აზრიან უკუკავშირზე, კურიკულუმისა და ტექნოლოგიების ინტეგრირებაზე და ალტერნატიულ შეფასებაზე. სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა ეფექტიანია რადგან ზრდის შემსწავლელთა მოტივაციას და წაახალისებს კოლაბორაციულ სწავლებას. მსგავსი მიდგომის დროს მასწავლებელს სხვადასხვა როლი ეკისრება. თუმცა არ არსებობს ერთი უნიკალური და უნივერსალური მეთოდი, რომელიც ყველანაირი ტიპის შემსწავლელის საჭიროებებს პასუხობს და ყველა მიზანს აღწევს, ამიტომ ენის კომუნიკაციური სწავლება სათავეს იღებს არა მხოლოდ ერთი კონკრეტული, არამედ მრავალი მეთოდიდან და მიდგომიდან. შესაბამისად განხილულია სხვადასხვა მიდგომები მაგალითად: სწავლაზე ორიენტირებული, უნარებზე ორიენტირებული და მნიშვნელობაზე-ორიენტირებული მიდგომა. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ კომუნიკაციური სწავლების

დადებით ასპექტებზე არამედ იმ გამოწვევებზეც, რომლის წინაშეც პედაგოგები დგებიან ამ მიდგომის თავიანთ პრაქტიკაში დანერგვის დროს. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების ფარგლებში განხორციელებულ მრავალ ცვლილებასთან ერთად, ასევე შეიცვალა მიდგომა შეფასების მიმართ. მოსწავლეზე ორიენტირებული შეფასების სტრატეგიები აღიქვამს მოსწავლეს როგორც პიროვნებას, რომელიც ყველაზე ახლო კავშირშია სასწავლო პროცესთან და სწავლის შედეგებთან. ამის გამო შემსწავლელები პასუხისმგებლები ხდებიან საკუთარ სწავლაზე და სწავლის შედეგებზე იმით, რომ ისინი შეფასების თანამონაწილეები ხდებიან. მოსწავლეზე-ორიენტირებული შეფასება, ასევე გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებას მოსწავლეთა თვით-შეფასების საფუძველზე. რომლის მიხედვითაც შესაძლოა შემუშავდეს სწავლების მოდელი და ასევე მოხდეს ისეთი საგანმანათლებლო ტექნოლოგიის მოძიება-შერჩევა, რომელიც მორგებული იქნება მოსწავლეთა საჭიროებებზე და დაეხმარება მათ სასწავლო მიზნების მიღწევაში. თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირება გავლენას ახდენს შეფასების პროცესზე. მოსწავლეზე ორიენტირებული პრინციპები ქმნიან საფუძველს იმისათვის, რომ განისაზღვროს თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიები ალტერნატიული შეფასებისათვის, რათა განხორციელდეს უფრო ეფექტიანი სწავლება. პირველ თავში განხილულია თოთხმეტ მოსწავლეზე ორიენტირებული პრინციპი. ყურადღება გამახვილებულია ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებზე როგორიც არის, შემსწავლელის მოტივაცია და ელემენტები, რომელიც ხელს უწყობს შინაგანი მოტივაციის განვითარებას. განმარტებულია ტერმინი „შეფასება“ და გამოყოფილია სხვადასხვა სახის ალტერნატიული და მოსწავლეზე ორიენტირებული შეფასების ტიპები. ცალ-ცალკე ქვეთავებში განხილულია, შემაჯამებელი და ფორმატიული შეფასებები. ხაზგასმულია ფორმატიული შეფასების მნიშვნელობა, რამდენადაც ფორმატიული შეფასება აღიქმება როგორც მოსწავლეზე ორიენტირებული შეფასება და ხაზს უსვამს მუდმივი განვითარებისა და გაუმჯობესების მნიშვნელობას. ფორმატიული შეფასება ფოკუსირებულია სწავლის პროცესზე, ახდენს სწავლების მონიტორინგს, იმისათვის

რომ მიიღოს განუწყვეტელი უკუკავშირი, რაც დაეხმარება მასწავლებელს სწავლების გაუმჯობესებაში. ამ სახის შეფასება ახდენს მოსწავლის სუსტი და ძლიერი მხარეების ამოცნობას და ასევე გამოავლენს იმ ასპექტებს, რომლის გაუმჯობესებაც ესაჭიროებათ. აღწერილია შეფასების ისეთი მნიშვნელოვანი ტიპები როგორიცაა ურთიერთშეფასება, და თვითშეფასება, ასევე მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები. განსაზღვრულია დადებითი და უარყოფითი უკუკავშირის გავლენა და მნიშვნელობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ერთ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, თანამედროვე განათლების სისტემაში არის კომუნიკაციური კომპეტენციის შეფასება, ინგლისურის როგორც უცხოური ენის შესწავლის დროს. ტერმინები ავთენტური შეფასება, ალტერნატიული შეფასება და წარმოდგენაზე ორიენტირებული შეფასება გამოყენებული არიან ურთიერთჩანაცვლებადად და ცალ-ცალკე არიან განმარტებულნი. თუმცაღა კვლევაში ტერმინი ალტერნატიული შეფასება არის გამოყენებული.

შეფასების ამ ფორმებს აქვთ საერთო მახასიათებლები, ისინი აქცენტს აკეთებენ შემსწავლელთა თვითრეგულაციის უნარზე, თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებაზე. შეფასების მსგავსი ფორმები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს და ეხმარება მათი აზროვნების მაღალი უნარების განვითარებაში (Brown, 2004). ალტერნატიული შეფასების ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება არის ის, რომ ის მოსწავლეზე ორიენტირებულია და ზრდის შემსწავლელების მოტივაციას. ეს ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია დღევანდელ საგანმანათლებლო გარემოში.

მეორე თავი: პორტფოლიოთი შეფასება

სწორად გამოყენებული განათლების ტექნოლოგიები აუმჯობესებენ განათლების დონესა და მიღწევებს, ასევე ხელს უწყობს თანამშრომლობით სწავლებას. შემსწავლელები ახდენენ საკუთარი პრობლემების იდენთიფიცირებას, იღებენ გააზრებულ უკუკავშირს და ცდიან იდეებს. თანამედროვე ტექნოლოგიური მიდგომების დანერგვა, მაგალითად ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენება,

შემსწავლელებსა და მასწავლებლებს უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევთ, რეფლექსიისათვის, უკუკავშირისათვის და ნასწავლი მასალის გამეორებისათვის. მათ ასევე ეძლევათ საშუალება მოახდინონ ურთიერთშეფასება და თვითშეფასება. პორტფოლიოს მეშვეობით შემსწავლელებს შეუძლიათ გახდნენ ნაწილი ადგილობრივი თუ გლობალური საზოგადოების. პორტფოლიოზე წვდომა შესაძლოა ჰქონდეს ყველა დაინტერესებულ მხარეს. პორტფოლიოს დანერგვა ექსპერიმენტის მანძილზე განხორციელდა სკოლის მართვის ელექტრონული სისტემის „Schoolbook“ -ის მეშვეობით. როგორც მეორე თავში არის წარმოდგენილი, პორტფოლიოს გამოყენება შეფასების დროს აქცენტს აკეთებს შემსწავლელის პირად და სამოტივაციო საჭიროებებზე. ის ხელს უწყობს: ჩართულობას, ხშირ ურთიერთქმედებას, ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობას, შემსწავლელთა კონსრტუქციული უკუკავშირით უზრუნველყოფას და კავშირს რეალურ სამყაროსთან. კვლევის შედეგებმა გამოავლინეს, რომ პორტფოლიოთი შეფასება არის უწყვეტი პროცესი, რომელიც ახდენს შემსწავლელების სტიმულირებას: წაახალისებს შემსწავლელებს, რომ: 1. განვითარდნენ უფრო მეტად ავტონომიურ შემსწავლელებლად. 2. იყვნენ პასუხისმგებელნი საკუთარი სწავლის პროცესზე. 3. მიიღონ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები. 4. განახორციელონ თვითშეფასება. 5. და გააუმჯობესონ პრობლემების მოგვარების უნარები. კვლევებმა, რომელიც ეძღვნებოდა ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენებას საუბრის ფორმატიული შეფასებისათვის გამოავლინეს, რომ ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენება ნაკლებად შრომატევადია, ადვილია მისი მოწესრიგება, დაინტერესებულ პირებს უადვილდებათ მასზე წვდომა და დიდ მოწონებას იწვევს მშობლებში. მშობლებს მოსწონთ, რომ მონაწილეობენ თავიანთი შვილების სწავლის პროცესში. ლიტერატურული ანალიზის საფუძველზე მშობლებისათვის შეიქმნა კითხვარი. კითხვარის მიზანი იყო, გამოეკვლია მათი დამოკიდებულება პორტფოლიოს დანერგვის მიმართ. პორტფოლიოები გამოიყენება იმისათვის, რომ შემსწავლელებმა მოახდინონ ცოდნის დემონსტრირება, გამოხატონ საკუთარი შესაძლებლობები და მოახდინონ რეფლექსია

(Cennamo, Ross, & Ertmer, 2010). მეორე თავში განხილულია პორტფოლიოს განვითარების ეტაპები. მოცემული კვლევების ანალიზზე დაყრდნობით, ელექტრონული პორტფოლიო გამოყენებული იქნება ექსპერიმენტში არამხოლოდ როგორც სწავლებისა და შეფასების იარაღი, არამედ როგორც მოსწავლეების მიღწევების ასახვის საშუალება. პირველ და მეორე თავში მოცემული ლიტერატურული მიმოხილვის ანალიზის საფუძველზე, შემდეგი მოდელი შეიძლება იქნას რეკომენდირებული ელექტრონული პორტფოლიოს განსავითარებლად და დასანერგად.

ფიგურა1. ელექტრონული პორტფოლიოს განვითარების ეტაპები



(მოდელი შემუშავებულია მკვლევარის მიერ)

მოდელის თანახმად, პორტფოლიოს დანერგვა მოითხოვს გარკვეული ეტაპების გავლას. პირველ ეტაპზე საჭიროა განისაზღვროს მიზეზი, აუდიტორია და იარაღი პორტფოლიოს განვითარებისათვის. შემდგომ განისაზღვროს პორტფოლიოს მიზანი

და შემუშავებული იქნას შესაბამისი დიზაინი. შემდგომ ეტაპზე საჭიროა მოხდეს პორტფოლიოს განვითარება, შეფასებისათვის დავალებების შერჩევა, განისაზღვროს დავალებისათვის კრიტერიუმები. საბოლოოდ უნდა მოხდეს პორტფოლიოს შეფასება და მისი მიტანა განკუთვნილ აუდიტორიამდე. მასალის ქრონოლოგიურად დალაგება არის კარგი საშუალება იმისათვის, რომ თვალსაჩინო გახადოს მოსწავლეების აკადემიური შედეგების გაუმჯობესება და წინსვლა ექსპერიმენტის განმავლობაში.

პორტფოლიოთი შეფასების დროს, რეფლექსია, ურთიერთშეფასება, და თვით-შეფასება მთავარ კომპონენტებს წარმოადგენენ. ექსპერიმენტის განმავლობაში ორი სახის პორტფოლიო გამოიყენებოდა, ესენი იყო: სამუშაო პორტფოლიო და საჩვენებელი პორტფოლიო. შემსწავლელები ურთიერთთანამშრომლობდნენ მკვლევართან რათა მოეხდინათ თვიანთი საჭიროებების იდენთიფიცირება. საჩვენებელი პორტფოლიოს საწარმოებლად შემსწავლელებს უნდა გამოევლინათ თვითშეფასების მაღალი უნარი, რათა აერჩიათ თავიანთი ყველაზე წარმოსაჩენი და შესაფერისი ნაშრომები ამ ტიპის პორტფოლიოსათვის.

კვლევებმა აჩვენეს, რომ პორტფოლიო მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ შემსწავლელები უფრო აქტიურად ჩაერთონ შეფასების პროცესში. რადგან პორტფოლიოთი შეფასება წაახალისებს მათ რეფლექსიურ უნარებს და ავტონომიას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პორტფოლიოს პრაქტიკული გამოყენება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ექსპერიმენტის მიმდინარეობისას მკვლევარმა გაითვალისწინა საუბრის პორტფოლიოთი შეფასების ისეთი უარყოფითი მხარეები როგორიცაა ვალიდურობის და სანდოობის პრობლემა. ემპირიული კვლევების ანალიზმა აჩვენა წინააღმდეგობრივი შედეგები საუბრის პორტფოლიოსთან მიმართებაში. გარდა ამისა, ჩატარებული კვლევები ვერ იძლევიან ფართო სურათს ამ სახის შეფასების ყველა უარყოფითი თუ დადებითი თვისებების შესახებ, ყველა დაინტერესებული მხარის პერსპექტივიდან. საქართველოში არ არის ბევრი კვლევა ჩატარებული, საშუალო სკოლებში პორტფოლიოს გამოყენების შესახებ, რამდენადაც პორტფოლიოზე დაფუძნებული შეფასება არ არის პოპულარული და

გავრცელებული საქართველოს საშუალო სკოლებში. თუმცაღა უნდა აღინიშნოს, რომ ღირს დროისა და რესურსების დახარჯვა იმისათვის, რომ გამოვიკვლიოთ, თუ რა გავლენას ახდენს საშუალო სკოლის მოსწავლეების საუბრის უნარჩვევების გაუმჯობესებაზე ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენება. ასევე სასურველია გადაიხედოს მოსწავლეთა მიდგომა და დამოკიდებულება სწავლებისა და შეფასების დროს პორტფოლიოს გამოყენების მიმართ. ელექტრონული საუბრის პორტფოლიოს დანერგვა ინგლისურის როგორც უცხოური ენის შემსწავლელთა შეფასებისა და სწავლებისათვის, დადებით გავლენას ახდენს როგორც შემსწავლელებზე ასევე პედაგოგებზე. ეს თანამედროვე მიდგომა გამიზნულია რათა დაეხმაროს სასწავლო პროცესს. იგი სტიმულს აძლევს როგორც შემსწავლელებს ასევე მასწავლებლებს, რომ ითანამშრომლონ, გადავიდნენ მოსწავლეზე-ორიენტირებულ სწავლებაზე და დაამყარონ კავშირი უფრო ფართო გლობალურ საზოგადოებასთან.

მესამე თავი: საუბრის ელექტრონული პორტფოლიოს დანერგვის პრაქტიკული სტრატეგიები, ინგლისურის როგორც უცხოური ენის შესწავლისას

მესამე თავი ეძღვნება ელექტრონული პორტფოლიოს დანერგვის პრაქტიკულ სტრატეგიებს, ინგლისურის როგორც უცხოური ენის შემსწავლელთა ფორმატიული შეფასებისათვის. ამ თავში ნაჩვენებია ელექტრონული აპლიკაციის შერჩევის სტრატეგიები ელექტრონული პორტფოლიოს დასანერგად. ყურადღება გამახვილებულია „SchoolBook“-ზე, რომელიც გახლავთ, თანამედროვე ელექტრონული სკოლის მართვის პროგრამა. ზემოთ ხსენებული პროგრამა დანერგილია ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში, სადაც აღნიშნული კვლევა წარიმართა. „SchoolBook“-ი არის მომხმარებლისათვის მოსახერხებელი და ადვილად გამოყენებადი პროგრამა, რომელზეც დაინტერესებულ მხარეებს შეუზღუდავი წვდომა აქვთ ნებისმიერ დროს, დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან.

მესამე თავში ასევე განხილულია ექსპერიმენტალურ და საკონტროლო ჯგუფში სწავლების დროს გამოყენებული სტარტეგიები. რაც ასევე მოიცავს მასწავლებლის როლისა და კლასის მართვის სტრატეგიების განხილვას. მასწავლებელს, რომელიც ამასთანავე მკვლევარი იყო, ეკისრებოდა, ფასილიტატორის, მენტორის და მოტივატორის როლები, იგი ასევე იყო ნიმუშის მიმცემი მოსწავლეთათვის რათა წაეხალისებინა მათი ჩართულობა და სწავლა ექსპერიმენტის განმავლობაში.

კვლევის დროს გამოყენებულ ძირითად სახელმძღვანელოს წარმოადგენდა „Super Minds, Level 4“, მასთან ერთად გამოიყენებოდა დამხმარე სახელმძღვანელოები. სახელმძღვანელო შეიცავს საინტერესო კომუნიკაციურ აქტივობებს, რომლებიც ექსპერიმენტის დროს გამოიყენებოდა. დამატებითი სახელმძღვანელოები ასევე დიდი ყურადღებით იყო შერჩეული, იმისათვის რომ გაეუმჯობესებინა შემსწავლელთა კომუნიკაციური კომპეტენცია და გაეზარდა მათი მოტივაცია.

მესამე თავში განხილულია რიგი აქტივობები, რომლებიც გამოყენებული იყო კვლევის მანძილზე. აქტივობები დაყოფილი იყო: 1. ინდივიდუალურ აქტივობებად (Activity 1 “Golden cat”. Activity 2 “My world Collage” Activity 3 “Jim’s adventure”); 2. წყვილთაშორის აქტივობებად (მაგალითად: Activity 1 “Visit from the cat”, Activity 2 “The day the sea went out”, Activity 3 Emergency, Activity 4 “How we spend our free time”) 3. ჯგუფურ აქტივობებად (მაგალითად: Activity 1 “Finding out about an animal”, Activity 2 Music in our class”, Activity 3 “Reading Habits”); 4. საშინაო დავალებებად (Activity 1 “My favorite outdoor place.” Activity 2.”Fire safety”. Activity 3 “Book Review.” Activity 4 “Wonder”). აქტივობების შინაარსი დაკავშირებული იყო წიგნის სხვადასხვა თემატურ ერთეულებთან. თანმიმდევრული და ეტაპობრივი, კომუნიკაციური აქტივობების მეშვეობით შემსწავლელებმა განავითარეს საუბრის უნარჩვევა. აქტივობები იმგვარად იყო შერჩეული, რომ სწავლა-სწავლების პროცესი სახალისო და მამოტივირებელი გაეხადა. აქტივობები შესაფერისი იყო სხვადასხვა სწავლა-სწავლების სტილისათვის. განსაკუთრებით კი ემსახურებოდა შემსწავლელების კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებას. შემოთავაზებული აქტივობები შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა

პედაგოგების ან მკვლევარების მიერ, რომელთაც სურთ ელექტრონული პორტფოლიოს დანერგვა და გამოყენება თავიანთ პრაქტიკაში. მკვლევარის მიერ შემოთავაზებული აქტიოვბების გამოყენება საგრძნობლად დაზოგავს მათ დროს.

მეოთხე თავი: კვლევის გეგმა, მეთოდოლოგია, შედეგები და დისკუსია

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ექსპერიმენტის მიზანი იყო განესაზღვრა შემსწავლელთა წინსვლა ელექტრონული პორტფოლიოს დანერგვისა და გამოყენების დროს. მოხდა ექსპერიმენტალური და საკონტროლო ჯგუფების ტესტების შედეგების შედარება იმისათვის, რომ გამოეაშკარავებინათ განსხვავებები (თუკი ასეთი იქნებოდა) საუბრის ტრადიციული (პორტფოლიოს გამოყენების გარეშე) და კვლევაში შემოთავაზებულ მეთოდით (პორტფოლიოს გამოყენებით) სწავლებას შორის. ექსპერიმენტის ჩატარების მთავარი მიზანი იყო, კვლევის შეკითხვებზე პასუხის გაცემა. იყო თუ არა საუბრის ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენება საუბრის ფორმატიული შეფასებისათვის შეფასების ეფექტიანი საშუალება, ახდენდა თუ არა ეს მეთოდი გავლენას შემსწავლელთა აკადემიურ შედეგებზე და შეეძლო თუ არა შემსწავლელთა წინსვლის ზუსტი გაზომვა.
ექსპერიმენტის მთავარ მიზნებს წარმოადგენდა შემდეგი:

- შემსწავლელთა აკადემიური შედეგების გაუმჯობესება ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენების გზით.
- დაეხმაროს შემსწავლელებს ავტონომიური სწავლების პროცესის ფორმირებაში და წაახალისოს ისინი იმუშაონ და ისწავლონ დამოუკიდებლად.
- წაახალისოს ურთიერთშეფასება და თვითშეფასება
- წაახალიოს თანამშრომლური სწავლა-სწავლება და მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის აქტიური კომუნიკაცია.

ზემოთ მოცემულ კვლევის შეკითხვებზე პასუხის გასაცემად კვლევის რაოდენობრივი მეთოდები იქნა გამოყენებული. რაოდენობრივი მეთოდის საშუალებით მოხდა

მონაცემთა შეგროვება, შეფასება და შედარება. შედეგის მეტად სანდოობისათვის ექსპერიმენტი გაგრძელდა ორი სემესტრის (შვიდი თვის) მანძილზე. ექსპერიმენტალური კვლევა ჩატარდა საქართველოში, კერძოდ თბილისში არსებულ ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 24-მა მოსწავლემ, (12 ექსპერიემნტალური ჯგუფიდან და 12 საკონტროლო ჯგუფიდან). კვლევაში ასევე მონაწილეობდა ორი ინგლისური ენის მასწავლებელი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ექსპერიმენტი 7 თვე (28 კვირა) გრძელდებოდა. ექსპერიმენტის ფარგლებში ჩატარდა 24 საუბრის გაკვეთილი. შემსწავლელებს ასევე მიცემული ჰქონდათ 4 საშინაო დავალება, რომელიც შემდგომ წარმოადგინეს პრეზენტაციის და ვიდეო ან აუდიო ჩანაწერის სახით. საკონტროლო ჯგუფმა სწავლება ტრადიციული გზით მიიღო ელექტრონული პორტფოლიოს გამოყნების გარეშე, მაშინ როცა სწავლება საექსპერიმენტო ჯგუფში ხორციელდებოდა ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენების საშუალებით. საექსპერიმენტო ჯგუფში გამოიყენებოდა ორი სახის, სამუშაო და საჩვენებელი პორტფოლიოები. სხვამხრივ სწავლება ორივე ჯგუფში იყო იდენტური. პრე-ტესტი ორივე ჯგუფში 12 სექტემბერს ჩატარდა. მაშინ როდესაც პირველი ტესტი ჩატარდა 2017 წლის 18 დეკემბრს, ექსპერიმენტის დაწყებიდან 13 კვირის შემდეგ. მეორე ტესტი ჩატარდა 2018 წლის 21 თებერვალს, ექსპერიემნტის დაწყებიდან 22 კვირის შემდეგ. პოსტ -ტესტს მიმართეს 2018 წლის 29 მარტს ექსპერიმენტის 27-ე, ბოლო კვირას. მიღწეული სასწავლო შედეგების დონის განსაზღვრის მიზნით ექსპერიმენტის დასრულებიდან დაახლოებით ერთი თვის მანძილზე ჩატარდა გადავადებული პოსტ-ტესტი (30 აპრილს).

ორივე ჯგუფში გამოიყენებოდა ერთი და იგივე ძირითადი სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელოები. მასწავლებლების მიერ გამოიყენებოდა მასალის ახსნისა და პრეზენტაციის მსგავსი მეთოდები. ასევე ანალოგიური იყო შემსწავლელთა მიერ შესრულებული აქტივობები. ორ ჯგუფს შორის ძირეული განსხვავება იყო მათი შეფასების მეთოდში. ძირითადი სახელმძღვანელო ისევე როგორც დამხმარე სახელმძღვანელო შეიცავდა საუბრის აქტივობებს ყოველი თემატური ერთეულის

ბოლოს. შემსწავლელებს ექსპერიმენტალურ ჯგუფში საშუალება ჰქონდათ ეწარმოებინათ თვითშეფასება და ურთიერთშეფასება წინასწარ შემუშავებულ რუბრიკებზე დაყრდნობით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შემსწავლელთა ქულების გასაზომად და შესადარებლად, საუბრის პრე-ტესტი, ორი ტესტი, ერთი პოსტ-ტესტი და ერთი გადავადებული პოსტ ტესტი იქნა გამოყენებული.

ექსპერიმენტის შედეგები

შეფასება ხდებოდა ათ ქულიანი სისტემით. ექსპერიმენტალური და საკონტროლო ჯგუფების ხუთი ტესტის შედეგები წარმოდგენილია (მოცემული ქვემოთ) მეორე და მესამე ცხრილებში.

ცხრილი 1. პრე-ტესტი, ტესტი 1, ტესტი 2, პოსტ ტესტი, გადავადებული პოსტ ტესტის შედეგები ექსპერიმენტალური ჯგუფისათვის.

მოსწავლე	**პრე-ტესტი**	**პირველი ტესტი**	**მეორე ტესტი**	**პოსტ ტესტი**	**გადავადებული პოსტ ტესტი**	**დამატებითი ღირებულება**
მოსწავლე1	4	5	7	8	8	+4
მოსწავლე 2	5	5	6	8	7	+3
მოსწავლე 3	9	9	10	10	10	+1
მოსწავლე 4	7	7	8	9	8	+2
მოსწავლე 5	6	7	8	8	8	+2
მოსწავლე 6	5	7	8	9	9	+4
მოსწავლე 7	8	9	10	10	9	+2
მოსწავლე 8	4	4	5	6	6	+2
მოსწავლე 9	3	5	6	8	8	+5
მოსწავლე 10	6	8	8	10	10	+4
მოსწავლე 11	6	8	8	10	9	+4
მოსწავლე 12	7	7	9	10	10	+3
საშუალო ქულა	**5.83**	**6.75**	**7.75**	**8.83**	**8.55**	**2.72**
მედიანა	**6**	**7**	**8**	**9**	**8.5**	**2.5**
სტანდარტული გადახრა	**1.74**	**1.65**	**1.54**	**1.26**	**1.24**	

ცხრილი 2. პრე-ტესტი, ტესტი 1, ტესტი 2, პოსტ ტესტი, გადავადებული პოსტ ტესტის შედეგები საკონტროლო ჯგუფისათვის.

მოსწავლე	**პრე-ტესტი**	**ტესტი 1**	**ტესტი 2**	**პოსტ-ტესტი**	**გადავადებული პოსტ ტესტი**	**დამატებითი ღირებულება**
მოსწავლე 1	3	3	5	4	4	+1
მოსწავლე 2	8	7	7	8	8	0
მოსწავლე 3	7	8	8	9	8	+1
მოსწავლე 4	5	6	6	6	5	0
მოსწავლე 5	6	6	6	6	7	+1
მოსწავლე 6	6	7	6	7	7	+1
მოსწავლე 7	10	9	10	9	9	-1
მოსწავლე 8	7	4	5	4	4	-3
მოსწავლე 9	8	7	8	7	7	-1
მოსწავლე 10	6	6	7	6	6	0
მოსწავლე 11	8	7	8	8	8	0
მოსწავლე 12	4	5	6	6	5	+1
საშუალო ქულა	**6.5**	**6.25**	**6.75**	**6.67**	**6.3**	**-0.2**
მედიანა	**6.5**	**6.5**	**6.6.**	**6.7**	**6.6**	**+0.1**
მედიანა	**1.93**	**1.65**	**1.42**	**1.66**	**1.72**	

პრეტესტის საშუალო ქულის შედეგები აჩვენებს, რომ საუბრის უნარის დონე ექსპერიმენტალურ ჯგუფში (5.83) გარკვეულად უფრო დაბალი იყო ვიდრე საკონტროლო ჯგუფში (6.5). თუმცა პირველივე ტესტმა გამოავლინა, რომ მდგომარეობა შეიცვალა. ექსპერიმენტალურმა ჯგუფმა (6.75) არა მხოლოდ საკონტროლო ჯგუფზე (6.25) უფრო მაღალი საშუალო ქულა აჩვენა, არამედ დაფიქსირდა შედეგების ზრდა მაშინ როცა საკონტროლო ჯგუფში შედეგებმა დაიწია. მეორე ტესტის შედეგების სტატისტიკური ანალიზის თანახმად ექსპერიმენტალურ ჯგუფში , საკონტროლო ჯგუფიდან განსხვავებით, ისევ ჰქონდა ადგილი საუბრის უნარის კომპეტენციის ზრდას. საშუალო ენობრივი კომპეტენცია და უნარების დონე საექსპერიმენტო ჯგუფში გაიზარდა 7.75 ქულამდე (ანუ 1 ქულით). რაც შეეხება საკონტროლო ჯგუფს , საშუალო ენის კომპეტენციისა და უნარ-ჩვევების ნაკლები ზრდა დაფიქსირდა (6.75 ანუ 0.5 ქულით). შესაბამისად, ექვსი თვის შემდეგ საექსპერიმენტო ჯგუფში წინსვლის უფრო მაღალი დონე დაფიქსირდა ვიდრე საკონტროლო ჯგუფში. სტანდარტული გადახრა ექსპარიმენტალურ ჯგუფში იყო 1.54 ხოლო საკონტროლო ჯგუფში 1.42. სტანდარტული გადახრის ეს დონე აჩვენებს, რომ „სუსტი“ და „ძლიერი“ მოსწავლეების გავრცელება დაახლოებით ერთნაირი იყო. ორივე ჯგუფში სტანდარტული გადახრის დონე შემცირდა რაც იმას ნიშნავდა, რომ

ჯგუფები უფრო მეტად ჰომოგენური, რის საფუძველზეც შეგვიძია დავასკვნათ, რომ სასწავლო მეთოდმა მოახდიან თანაბარი გავლენა ყველა შემსწავლელზე.

პოსტ-ტესტის შედეგების თანახმად ექსპერიმენტალური ჯგუფის ენობრივი კომპეტენცია ისევ გაიზარდა საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. ექსპერიმენტალური ჯგუფის საშუალო ენობრივი კომპეტენცია და საუბრის უნარჩვევები გაიზარდა 8.83 ქულამდე. ხოლო საკონტროლო ჯგუფში საშუალო ენობრივი კომპეტენცია და საუბრის უნარჩვევები გაიზარდა მხოლოდ 6.7 ქულამდე. შესაბამისად ექსპერიმენტალურ ჯგუფში დაფიქსირდა შედეგების უფრო მაღალი ზრდა ვიდრე საკონტროლო ჯგუფში. სტანდარტული გადახრა ექსპერიმენტალურ ჯგუფში იყო 1.26 ხოლო საკონტროლო ჯგუფში 1.66. სტანდარტული გადახრის ეს მაჩვენებელი მიუთითებს, რომ ექსპერიმენტალური ჯგუფი გახდა უფრო მეტად ჰომოგენური სადაც უფრო მეტმა შემსწავლელმა აჩვენა მაღალი შედეგები.

შეგვიძლია დავინახოთ, რომ ექსპერიმენტალური ჯგუფი თანდათანობით აუმჯობესებდა თავიანთ შედეგებს, (იხილეთ დამატებული ღირებულების შედეგები, რომელიც დადებითია), მაშინ როდესაც საკონტროლო ჯგუფის ყველა შემსწავლელმა ვერ გააუმჯობესა თავიანთი შედეგები (ზოგიერთი შემსწავლელი დარჩა პირვანდელ დონეზე მაშინ როდესაც ზოგიერთის ქულებმა დაიწია ერთიდან სამ ქულამდე). გადავადებული პოსტ-ტესტის შედეგების თანახმად, საექსპერიმენტო ჯგუფმა საკონტროლო ჯგუფთან შედარებით აჩვენა უარყოფითი ცვლილებისადმი უფრო ხანგრძლივი წინააღმდეგობის უნარი, საკონტროლო ჯგუფში შემცირებით (6.67 დან 6.3) და საექსპერიმენტო ჯგუფში (8.83 დან 8.55). ეს მკვლევარს საშუალებას აძლევს მიიჩნიოს, რომ იმ მიდგომის თანახმად, სადაც სტუდენტების საუბრის ფორმატიული შეფასება ხდება ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენებით, სწავლებასა და სწავლას აქვს განუწყვეტელი დადებითი ეფექტი მაშინაც კი, როდესაც არანაირი მანიპულაცია (სწავლება და სწავლა) არ არის შესრულებული.

მიღებული შედეგების სანდოობისა და ვალიდურობის გასამყარებლად, გაიზომა არა მხოლოდ საშუალო ქულა არამედ მედიანა. მათ აჩვენეს იგივე ტენდენცია:

თანდათანობითი ზრდა (გაუმჯობესება) 2.5 ერთეულით ექსპერიმენტალური ჯგუფის შემთხვევაში (მედიანა გაიზარდა ყველა საფეხურზე) ხოლო 0.1 ერთეულით საკონტროლო ჯგუფისათვის.

შედეგებმა აჩვენეს, რომ ექსპერიმენტალურ ჯგუფში დაფიქსირდა ქულების/შედეგების მუდმივი გაუმჯობესება. გაიზარდა არა მხოლოდ საშუალო ქულა, არამედ ყველაზე ხშირად მიღებული ქულები. მედიანამ ასევე დააფიქსირა ზრდა. სტანდარტული გადახრა თანდათანობით მცირდებოდა, რაც აჩვენებდა, რომ უნარ-ჩვევები ჯგუფში არამხოლოდ გაიზარდა არამედ გახდა უფრო თანაბარი სტუდენტებს შორის. ყოველივე ზემოთ ხსენებული იმის მიმანიშნებელია, რომ საშუალო მაჩვენებლის ზრდა მიღწეულია არა მხოლოდ რამოდენიმე შემსწავლელის მონდომების ხარჯზე, არამედ მკვლევარის მიერ შემოთავაზებული მოდელის დანერგვის შედეგად, რაც დასტურდება იმით რომ წინსვლა განიცადა მთელმა კლასმა. რამდენადაც საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფების პოსტ-ტესტების შედარების მნიშვნელობა არის 0.02, რაც ნაკლებია

P <0.05, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ არსებობს ორ ჯგუფს შორის მიღებულ შედეგებში მნიშვნელოვანი განსხვავება.

აშკარაა, რომ ექსპერიმენტალური ჯგუფის მოსწავლეებმა აჩვენეს მეტი წინსვლა საეთო მაჩვენებლების მიხედვით. შედეგები მიუთითებს, რომ განსხვავება არსებითია. კვლევის თვისობრივმა შედეგებმა, კონკრეტულად შემსწავლელებთან ჩატარებულმა პოსტ-ექსპერიმენტალურმა ინტერვიუმ, გამოავლინა, რომ ელექტრონული პორტფოლიოს განოყენებამ საუბრის ფორმატიული შეფასებისათვის, ინგლისურის როგორც უცხოური ენის შესწავლის დროს, გაზარდა შემსწავლელთა კმაყოფილება და წააქეზა მოსწავლეების დადებითი დამოკიდებულება ენის შესწავლის მიმართ. შემსწავლელები მიიჩნევენ, რომ პორტფოლიოთი შეფასება არის სასარგებლო, საინტერესო და მამოტივირებელი მათთვის. იმ დროს როდესაც საკონტროლო ჯგუფში აღინიშნებოდა ძალიან დაბალი წინსვლა საუბრის უნარ-ჩვევების განვითარების

მხრივ ექსპერიმენტის მიმდინარეობისას. მეოთხე თავში განხილულია კვლევის როგორც რაოდენობრივი ასევე თვისობრივი შედეგები.

ექსპერიმენტის დასრულების და რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების ანალიზის შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ მიმდინარე კვლევის გავლენა მნიშვნელოვანი იყო ყველა დაინტერესებული მხარისათვის, შემსწავლელებისათვის, მასწავლებლებისთვის, მშობლებისა და ამ სფეროში მოღვაწე მკვლევარებისთვის. კვლევის ერთ ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო ის, რომ საუბრის პორტფოლიოს გამოყენებამ საგრძნობლად გააუმჯობესა შემსწავლელთა საუბრის უნარ-ჩვევები. პორტფოლიო როგორც ალტერნატიული შეფასების საშუალება შესაძლოა რეკომენდირებული იყოს საუბრის უნარის გასაუმჯობესებლად. ამ სახის შეფასება გამოიყენება არამხოლოდ შემსწავლელთა შესაფასებლად ან გამოსაცდელად, არამედ მათი საუბრის უნარის განსავითარებლად.

პორტფოლიო შეიძლება მიმართული იყოს შემსწავლელთა სუსტი და ძლიერი მხარეების გამოსავლენად Cole (2000). პორტფოლიო წაახალისებს რეალურ კომუნიკაციას ინგლისურის როგორც უცხოური ენის შესწავლის დროს. თუმცა აღსანიშნავია, რომ შემსწავლელები უფრო მეტად ღელავენ, როდესაც სპონტანურად უწევთ საუბარი, შესაბამისად კვლევის მანძილზე დაცული იყო ბალანსი სპონტანურსა და წინასწარ მომზადებულ საუბრის აქტივობას შორის. ძირითადად შემსწავლელები წარმოადგენდნენ წინასწარ მომზადებულ საუბრის აქტივობებს. აღსანიშნავია, რომ პორტფოლიოთი შეფასება დაეხმარა მოსწავლეებს ავტონომიურ შემსწავლელებად ჩამოყალიბებაში. პორტფოლიოთი შეფასებისას მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ ადვილად მოახდინონ დაკვირვება საკუთარ წინსვლაზე. შესაბამისად, მათთვის უფრო ადვილი იყო პასუხისმგებლობა აეღოთ საკუთარ სწავლაზე. კვლევის შედეგებმა ასევე აჩვენეს, რომ პორტფოლიოთი შეფასება აუმჯობესებს შემსწავლელთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარს. შემსწავლელებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია იმ ფაქტორმა, რომ შემსწავლელებს მიეცათ ურთიერთშეფასების საშუალება, თუმცა რეკომენდაციის გათვალისწინებით აქცენტი კეთდებოდა უფრო

მეტად დადებით შეფასებაზე ვიდრე უარყოფით შეფასებაზე და კეთდებოდა პოზიტიური კომენტარები. ასევე აღსანიშნავია, რომ საექსპერიმენტო ჯგუფში შემსწავლელები ჩანდნენ უფრო მეტად მოტივირებულები და განიცდიდნენ ნაკლებ სტრესს პორტფოლიოთი შეფასების დროს. მიღებულმა რაოდენობრივმა და თვისობრივმა შედეგებმა საშუალება მისცა მკვლევარს დაესკვნა, რომ კვლევის ჰიპოთეზა სრულად იყო დადასტურებული. კვლევამ აჩვენა, რომ პორტფოლიოს გამოყენება საუბრის ფორმატიული შეფასებისათვის ზრდის შემსწავლელთა მოტივაციას და ასევე აუმჯობესებს მათ საუბრის უნარჩვევებს. დასკვნები ასევე ადასტურებს, რომ პორტფოლიოთი შეფასება განავითარებს პოზიტიურ დამოკიდებულებას სწავლისადმი და აყალიბებს მოსწავლეებს ავტონომიურ შემსწავლელებად.

დასკვნა

1. თანამედროვე მიდგომების თანახმად, კომუნიკაცია არის უცხოური ენის შესწავლის მთავარი მიზანი. თანამედროვე სამყაროში ინგლისური ენა გახდა ლინგვა ფრანკა, ამიტომ ინგლისურად საუბრის უნარი უმნიშვნელოვანესია მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და განათლების ყველა სფეროში. კომუნიკაციური კომპეტენციის თეორიული საფუძველი მოიცავს სოციოლინგვისტიკას, გრამატიკულ და სტარტეგიულ კომპეტენციას. კვლევაში ხაზგასმულია ინგლისურის როგორც უცხოური ენის შესწავლის მიმართ კომუნიკაციური მიდგომა. აღნიშნულია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, რამდენადაც მას მივყავართ ავტონომიურ სწავლებამდე. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება ფოკუსირებულია სწავლების სოციალურ ბუნებაზე, აზრიან უკუკავშირზე, ალტერნატიულ შეფასებაზე და ტექნოლოგიების ინტეგრაციაზე.
2. პორტფოლიო მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენს იმისათვის, რომ ენის შემსწავლელები ჩაერთონ თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებაში. ამ გზით

ხდება მოსწავლეთა ავტონომიურობისა და რეფლექსიის უნარების ხაზგასმა. ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პორტფოლიოთი შეფასების მთავარი დადებითი თვისებები შემდეგია: იგი ხელს უწყობს შემსწავლელთა თვითშეფასებას და თანამშრომლობით შეფასებას, არის მოსწავლეზე-ორიენტირებული, ამცირებს შფოთვას, ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, არის სისტემატიური, აქცენტს აკეთებს გაუმჯობესებაზე და ნაკლებად ადარებს შემსწავლელს სხვებს. საუბრის ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენება ინგლისურის როგორც უცხოური ენის საუბრის შეფასებისას დადებით გავლენას ახდენს როგორც შემსწავლელებზე, ისე პედაგოგებზე, რომლებიც ასწავლიან ინგლისურ ენას ალტერნატიული მეთოდების გამოყენებით. ამავდროულად, პორტფოლიოთი შეფასებას ახლავს გარკვეული სირთულეებიც, მაგალითად, პორტფოლიოზე მუშაობა შეიძლება იყოს შრომატევადი და მოითხოვს გარკვეული ტექნიკური გამოყენების უნარების ფლობას. იმისათვის, რომ პორტფოლიო ეფექტურად დაინერგოს, საჭიროა დაწესდეს მისი გამოყენების გარკვეული დროის ლიმიტი და ასევე მოსწავლებლებს და მასწავლებლებს ჩაუტარდეთ გარკვეული ინსტრუქტაჟი ტექნიკური თვალსაზრისით.

3. კვლევის დროს გამოყენებულია პორტფოლიოს ორი ტიპი, სამუშაო და საჩვენებელი პორტფოლიოები. კვლევაში არსებული პორტფოლიოს ფორმატი არის სამუშაო, საუბრის უნარ-ჩვევების შეფასების მიზნით გამოყენებული ელექტრონული პორტფოლიო. საჩვენებელი პორტფოლიო გამოყენებულ იქნა სემესტრის ბოლოს. დისერტაციაში განხილულია ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენების პრაქტიკული სტრატეგიები.
4. დისერტაციაში წარმოდგენილია რიგი აქტივობები, რომლებიც გამოყენებული იყო ექსპერიმენტის ფარგლებში. აქტივობები დაყოფილი იყო შემდეგ ჯგუფებად: ინდივიდუალურ, წყვილთაშორის და ჯგუფურ. ეს აქტივობები შეიძლება გამოყენებული იყოს პრაქტიკოსი მასწავლებლების მიერ თავიანთ

კლასებში, საუბრის უნარ-ჩვევების ფორმირების და ფორმატიულად შეფასების მიზნით. ინდივიდუალური, წყვილთაშორის და ჯგუფური აქტივობები აძლიერებს მოსწავლეთა ავტონომიას, თანამშრომლობას და სოციალურ უნარებს.

5. კითხვარები დაურიგდათ დაინტერესებულ პირებს, 30 მასწავლებელს და 12 მშობელს. კითხვარში განხილული იყო დაინტერესებული პირების დამოკიდებულება და მათი ცოდნა საუბრის ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენების შესახებ ფორმატიული შეფასებისათვის. კითხვარების ანალიზის შედეგებმა აჩვენეს, რომ მონაწილე მასწავლებლების უმრავლესობა არ ფლობდა საკმარის ინფორმაციას პორტფოლიოს შესახებ და შესაბამისად არასოდეს გამოუყენებიათ პორტფოლიო როგორც შეფასების საშუალება. ეს შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო იმით, რომ მათ არ ჰქონდათ სათანადო ცოდნა განათლების ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული პროგრამების გამოყენების შესახებ სწავლების დროს. მასწავლებლის თვალსაზრისიდან გამომდინარე, მათ უნდა გაიარონ სპეციალური გადამზადება ან შესაფერისი ტრეინინგები, რომ გაიუმჯობესონ თავიანთი ცოდნა განათლების თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ. სასურველია მასწავლებლები ღია იყვნენ სიახლეების მიმართ და მიიღონ თანამედროვე სწავლების ახალი მეთოდოლოგიის გამოწვევები. მასწავლებელთა მხოლოდ მცირე რაოდენობა იყენებს ელექტრონულ პორტფოლიოს ფორმატიული შეფასებისათვის თავიანთ პრაქტიკაში. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სასურველია მასწავლებლები იყვნენ უკეთ ინფორმირებული სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების შესახებ. თუმცაღა უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლებმა გამოხატეს გარკვეული ინტერესი პორტფოლიოთი შეფასების მიმართ, რაც გვიტოვებს იმედს, რომ ისინი საუბრის შეფასების უფრო ეფექტიან საშუალებებს გამოიყენებენ თავიანთ პრაქტიკაში (მაგალითად, როგორიცაა ელექტრონული პორტფოლიო).

დაბალია მშობლების გაცნობიერებულობა პორტფოლიოთი შეფასების შესახებ. თუმცა მათ გამოხატეს დაინტერესება სწავლის შედეგების მიმართ და ესაჭიროებათ, რომ იყვნენ უკეთესად ინფორმირებული სწავლებისა და შეფასების თანამედროვე და ინოვაციური მეთოდების შესახებ, რომელიც მათ შვილებთან მიმართებაში გამოიყენება.

6. ექსპერიმენტის შემდგომი კითხვარი დაურიგდათ მოსწავლეებს და ასევე ჩატარდა ექსპერიმენტის-შემდგომი ინტერვიუ, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ შემსწავლელები ენთუზიაზმით მოეკიდნენ ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენებას. ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებამ გაკვეთილი უფრო საინტერესო და მამოტივირებელი გახადა. ექსპერიმენტული ჯგუფის მოსწავლეებმა მიიჩნიეს ეს მეთოდი როგორც ნოვატორული და მამოტივირებელი, რაც მიმდინარე კვლევის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგია. როგორც ბავშვების პასუხებიდან გამოვლინდა, ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენებამ წაახალისა ინგლისური ენის კომუნიკაციური სწავლა-სწავლება. შემსწავლელები გახდნენ უფრო მეტად თავდაჯერებულნი საუბრის დროს, ისინი უფრო აქტიურად იყვნენ ჩართულნი სწავლისა და სწავლების პროცესში, შემსწავლელები აქტიურად აწარმოებდნენ თვითშეფასებას და შეიმუშავეს ჯგუფური მუშაობის უნარები. ყოველივე ზემოთ ხსენებულმა ისინი ავტონომიურ შემსწავლელებად აქცია. თუმცაღა, შემსწავლელები წააწყდნენ გარკვეულ სირთულეებსაც. ისინი დადგნენ გამოწვევების წინაშე თვითშეფასების ან საკუთარი ნაშრომებს (ჩანაწერებს) სკოლის მართვის სისტემაში ატვირთვის დროს. ეს ხაზს უსვამს იმის საჭიროებას, რომ მოსწავლეებში მეტად განვითარდეს დამოუკიდებელი (ავტონომიური) სწავლების და განათლების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების უნარები სწავლისა და თვითშეფასებისათვის.

7. კვლევის მთავარი მიზანი იყო შემსწავლელთა წინსვლის, მათი პროგრესის განსაზღვრა საუბრის ელექტრონული პორტფოლიოს დანერგვის შედეგად.

მიღებული შედეგები ეთანხმება სხვა მკვლევარების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს. Huang and Hung (2010), მაგალითად, ჩაატარეს რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევა ტაივანში, 30 შემსწავლელთან, რომელმაც აჩვენა, რომ საუბრის ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენებამ გააუმჯობესა მოსწავლეების საუბრის უნარ-ჩვევები და გაამდიდრა მათი ლექსიკური მარაგი. გარდა ამისა, Safari and Koosha (2016) ჩაატარეს კვლევა 72 შემსწავლელთან ირანში, ისპაჰანის, კოვსარის ენათა ინსტიტუტში, რომელმაც აჩვენა, რომ შუალედური დონის და მაღალი დონის სტუდენტების საუბრის უნარ-ჩვევები გაუმჯობესდა პორტფოლიოს გამოყენების შედეგად. Cepik and Yastibas (2013) შეისწავლეს ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენებას იმისათვის, რომ გაეუმჯობესებინათ მოსამზადებელი კურსის 17 სტუდენტის საუბრის უნარ-ჩვევების დონე თურქეთში და მივიდნენ დადებით დასკვნამდე. კიდევ ერთ რაოდენობრივ კვლევაში (Yastibas & Cepik, 2015) იგივე ავტორებმა აღმოაჩინეს, რომ ენის მასწავლებლები ასევე მხარს უჭერენ ელექტრონული პორტფოლიოს დანერგვას უცხოური ენის სწავლების მიზნით. თუმცა საჭიროა აღინიშნოს, რომ პორტფოლიოს როლი უფრო მეტად შესწავლილია წერის, კითხვისა და მოსმენის უნარების გასაუმჯობესებლად, გარდა ამისა, კვლევების უმრავლესობა ჩატარებულია უნივერსიტეტის სტუდენტებთან. ამიტომ სასურველია მეტი კვლევა ჩატარდეს პორტფოლიოს დანერგვის შესახებ სასკოლო სისტემაში.

8. როგორც აღინიშნა, კვლევის მთავარი მიზანი იყო შემსწავლელების წინსვლის გაზომვა საუბრის ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენების შედეგად, წარმოებული კვლევის შედეგი ისევე როგორც ლიტერატურის მიმოხილვის ანალიზი, რომელიც განხორციელდა დისერტაციაში, მიუთითებს, რომ შემსწავლელებისათვის სასარგებლო იყო ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენება. მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ელექტრონული

პორტფოლიოს გამოყენება დადებითად აისახება შემსწავლელის საუბრის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაზე და შემსწავლელთა მოტივაციის გაზრდაზე.

დისერტაციის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. Cheishvili, S., (2017). Electronic Speaking Portfolios as a Means of Alternative Assessment in English as a Foreign Language Classes. *The 7th International Reasearch Conference on Education, Language and Literature*. IBSU, (2), 861-869.
2. Cheishvili, S., (2018). The Role of Electronic Portfolios in Learner-centered Teaching and Alternative Assessment in English as a Foreign Language Classes. *The Scientific Journal Association 1901 SEPIKE,* (21), 5-11.
3. Cheishvili, S., (2018). The Development of and the Effect of Electronic Speaking Portfolios on Learner's Academic Performance in English as a Foreign Language Classes in Primary Schools. *Journal of Education in Black Sea Region* (JEBS), 4 (1), 53-66